პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 16 (3500)

24

1968 წ. იანვარი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ა. მეტრეველი და ა. ივანოვა — ინდოეთის ჩემპიონები

ბომბეი, 23 იანვარი. თბილისელმა ჩოგბურთელებმა ალა ივანოვამ და ალექსანდრე მეტრეველმა გაიმარჯვეს გრუნტიან კორტებზე ინდოეთის დიდ ჩემპიონატში.

ფინალში ივანოვამ სძლია ინდოელ ნირუპუ ვასუდევს — 6:4, 6:3, ხოლო მეტრეველმა — რუმინეთის პირველ ჩოგანს იონ ცირიაკს — 11:9, 6:3, 6:2.

შერეულ წყვილთა ფინალურ მატჩში თბილისელმა ჩოგბურთელებმა დაამარცხეს თანამემამულენი — ნინო თუხარელი და ვლადიმერ პერეგუდოვი — 6:0, 7:5.

ბათუმელი მოსწავლე ნატალია კრივონოგოვა (მწვრთნელი ლ. მოროზოვა) 5 წელია მხატვრულ ტანვარჯიშს ეზიარა. ნიჭიერმა გოგონამ სპორტულ სარბიელზე პირველ წარმატებას აჭარის შარშანწინდელ პირველობაში მიაღწია. იგი ჩემპიონი გახდა მოზრდილთა შორის ოსტატთა პროგრამით გამართულ შეჯიბრებაში.

შარშან ნატალიამ კვლავ მოიპოვა აჭარის ჩემპიონობა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. კრივონოგოვამ წარმატებით იასპარეზა აჭარისა და სტავროპოლის მხარის ნაკრები გუნდების მატჩში, სადაც 54,4 ქულით გაიმეორა სპორტის ოსტატის ნორმატივი და II საკრიზო ადგილზე გავიდა. ამას წინათ კი იგი თბილისის პირველობაში ცდიდა ძალას და უკვე მესამედ შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ი. იუნაევი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ნ. კრივონოგოვა.

ფოტო ავტორისა.

ყველა მედალი — საბჭოთა სპორტსმენებს

ინსბრუკი, 23 იანვარი. სრული ტრიუმფით აღინიშნა საბჭოთა სტუდენტი ქალების ასპარეზობა თეთრი უნივერსიადის 10-კილომეტრიან სათხილამურო რბოლაში.

ოქროს მედალი მოიპოვა 24 წლის ე. ელისტრატოვამ (სვერდლოვსკი). ჩემპიონის დროა 34.21,9.

ვერცხლის მედალი ერგო მოსკოველ ლ. მენშიკოვას (34.45,7), ხოლო ბრინჯაოსი — სვერდლოვსკელ ლ. დორონინას (34.47,4).

IV ადგილზეც ერთი სვერდლოვსკელი ქალიშვილია: ტ. პეტრიაკოვა (35.06,2). V ადგილი დაისაკუთრა პერმელმა თ. ლალეტინამ (36.30,8). უძლიერესთა ექვსეული „ჩაკეტა“ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ი. ლედვინკოვამ — 36.54,4.

დღეს: სათხილამურო რბენა 15 კილომეტრზე (მრბოლელთათვის და ორჭიდელთათვის), ქალთა სლალომი.

ლიტველები



◆ კამბურგი, 23 იანვარი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩში ამ საპატიო პრიზის მფლობელმა — ვილნიუსის „ჟალგირისის“ ხელბურთულ ქალთა გუნდმა მარცხი განიცადა ადგილობრივ კლუბ „ეტვ“-სთან — 10:14. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელბურთელები გამოუთიშნენ ტურნირს. ნახევარფინალში გავიდა „ჟალგირისი“, რომელმაც შინ უფრო დამაჯერებელი ანგარიშით (23:12) მოუგო შეხვედრა კამბურგელებს.

„ჟალგირისის“ ხელბურთელი ქალები — ნახევარფინალში

1-ლი გვ.

ლაპარაკობენ ჩვენი ტანვარჯიშის ლიდერები

მე-3 გვ.

გედიგედ მეოთხე მარცხი

კიევი, 23 იანვარი. გუშინ აქ გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი ასკ და კაუნასის „ჟალგირისი“. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 75:71.

ამ წარმატებით უკრაინელმა კალათბურთელებმა კიდევ უფრო განიმტკიცეს ლიდერის მდგომარეობა: ახლა მათ 16 თამაშიდან მოგებული აქვთ 12 ქულა.

ლიტველებმა, რომლებიც სატურნირო ცხრილს დიდხანს ედგნენ სათავეში, ზედიზედ მეოთხე მარცხი განიცადეს.

კალათბურთი



ლვოვის „დინამოსა“ და „დრუჟბის“ სტადიონებზე დილიდან დაღამებამდე მიმდინარეობს გაცხარებული ბრძოლები „ოქროს შაიბის“ პრიზზე. ჰოკეისტ ბავშვთა გუნდების ეს ტრადიციული საკავშირო ტურნირი სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს ლვოვში.

1968 წლის ტურნირში მონაწილეობს ქალაქ ლვოვისა და ლვოვის ოლქის სკოლების და სახლმმართველობათა 74 გუნდი, შარშან კი ამავე გათამაშებაში სულ 14 კოლექტივი ასპარეზობდა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: სოფ. ლიპოვკისა (ნიკოლაევის რაიონი) და ლვოვის 28-ე სკოლის გუნდების შეხვედრის მომენტი. თამაში მოიგეს ლიპოველებმა — 4:0.

ფოტო ბ. კრიშტულისა (ტასს-ი).

დაუფასდათ

საქჩაის ტრესტის სამტრედიის მექანიკური ქარხნის კლუბში ჩატარდა „განთიადის“ რაისაბჭოს ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელშიც განიხილა თავისი IV საიუბილეო სპარტაკიადის შედეგები. მოხსენებით გამოვიდა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე მ. გაგუა.

— სპარტაკიადა 8 სახეობაში გაიმართა. I ადგილისთვის ბრძოლა ექვს თვეს გაგრძელდა. საერთო გამარჯვება მოიპოვა საქჩაის ტრესტის მექანიკური ქარხნის კოლექტივმა (საბჭოს თავმჯდომარე, ქარხნის დირექტორი შ. გოგავა, ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი მ. ტორონჯაძე). II ადგილზე გავიდა კულაშის საქსოვი ფაბრიკის, III — ხე-ტყის გადამმუშავებელი კომბინატის გუნდი, — თქვა მომხსენებელმა. შემდეგ მან ილაპარაკა სპარტაკიადის მიღწევებსა და ნაკლოვანებებზე.

კამაში მონაწილეობა მიიღეს ბამბის სართავი ფაბრიკის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა ო. გეგეშიძემ, საქჩაის ტრესტის მექანიკური ქარხნის კოლეკტივის ორგანიზაციის მდივანმა ს. რუხაძემ, შ. გოგავამ, ხე-ტყის გადამმუშავებელი კომბინატის ფიზკულტურის მეთოდისტმა გ. ბერიძემ, რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარემ გ. კალაძემ და სხვ.

მექანიკური ქარხნის ფიზკულტურის კოლექტივს სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებისთვის გადაეცა საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სამახსოვრო ალაში და II ხარისხის დიპლომი. „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საპატიო ნიშნით დაჯილდოვდნენ ქარხნის დირექტორი შ. გოგავა და აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის დირექტორი ჟ. კოპალეიშვილი.

ჯ. ვაშაკიძე.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.

* * *

სურათზე: „განთიადის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე მ. გაგუა სამახსოვრო ალამს გადასცემს შ. გოგავას.

ღია წერილი

საქართველოს სსრ განათლების მინისტრს ამხ. თ. ლაშქარაშვილს

პატივცემულო მინისტრო!

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა სპორტულ სკოლებში მხატვრულ ტანვარჯიშს წლების მანძილზე არ ექცევა სათანადო ყურადღება, თუმცა სპორტის ეს ულამაზესი სახეობა სულ უფრო პოპულარული ხდება მთელ მსოფლიოში.

ჯერ კიდევ 1958 წელს, II საკავშირო კონკურსზე, რომელიც ჩვენს დედაქალაქში ჩატარდა, მხატვრულმა ტანვარჯიშმა თბილისელ გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. მას შემდეგ საქართველოს ნაკრები მუდამ საპრიზო ადგილებს იხვეჭდა საკავშირო პირველობებში. ჩვენი მხატვრული ტანმოვარჯიშეები წარმატებით ასპარეზობდნენ პირად ჩათვლაშიც. მაგრამ ბოლო წლებში მიღწევებმა საგრძნობლად იკლო. ახლა საკავშირო ასპარეზზე IX-XI ადგილებს ვკრიდებით. წარუმატებლობის მთავარი მიზეზი მხატვრული ტანვარჯიშის ნაკლები მასობრიობაა, რაშიც ბრალი განათლების სამინისტროსაც მიუძღვის.

დიდია მუშობის სურვილი, დიდი მხატვრული ტანვარჯიშით დაინტერესებულთა რიცხვი. სამაგიეროდ, ჩვენს რესპუბლიკაში შეუწყარებლად მცირეა ბავშვთა ჯგუფები ამ სახეობაში. 1965 წელს საქართველოში მხატვრულ ტანვარჯიშს ბავშვთა 30 ჯგუფი ეუფლებოდა. სწორედ იმ წელს სპორტის ეს სახეობა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში იყო შეტანილი. გოგონებმა თითქმის ბოლო, XI ადგილი დაიკავეს. ასეთი შედეგი სავანგაშო უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადიკალური ზომების მიღების ნაცვლად, განათლების სამინისტროს სათანადო ორგანოებმა მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფთა რიცხვი კიდევ უფრო შეამცირეს.

ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის ბავშვთა სპორტულ სკოლებზე რა გვეთქმის, როცა თბილისის თითქმის არც ერთ რაიონულ სპორტსკოლაში არ მუშაობს მხატვრული ტანვარჯიშის ერთი ჯგუფიც კი! სპორტის ამ სახეობას არ სწყალობენ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურ სკოლაშიც, სადაც წლეულს მხატვრული ტანვარჯიშის კიდევ ერთი ჯგუფი დაიხურა. უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ამ სახეობის არსებულ ჯგუფებს მუშაობის ნორმალური პირობები არ გააჩნიათ.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული ტანვარჯიშის სექციაში რატომღაც სპორტსმენთა დაოსტატებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე სხვადასხვა ღონისძიებისთვის მასობრივი გამოსვლებისა და მხატვრული ნომრების მომზადებას. ეს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების პიონერთა სასახლეები ღირსეულ ცვლას ამზადებენ სსრ კავშირის ნაკრები გუნდისთვის. ხომ ცნობილია, რომ 16 წლის მსოფლიო ჩემპიონი, მოსკოველი ტ. კარპუხინა სწორედ პიონერთა სასახლის აღზრდილია.

მხატვრული ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია, მწვრთნელები ამ სახეობის ჯგუფების გახსნისა და მათი მუშაობის პირობების გაუმჯობესების თაობაზე სისტემატურად შიმართავდნენ თხოვნით განათლების სამინისტროს სათანადო ორგანოებს. პასუხი უმეტესად ასეთი იყო: მხატვრული ტანვარჯიში მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამაში არ შედისო.

დღეს ცნობილია, რომ 1969 წელს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში მხატვრული ტანვარჯიშიც შევა. ეს გვაიძულებს, რომ განათლების სამინისტრო ახლა მაინც მიაქცევს ყურადღებას ამ სახეობას.

მხატვრული ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაცია.

იბრძოდა 6400

დამთავრდა ცხაკაიას VII რაიონული სპარტაკიადა, რომელშიც ორ თვეზე მეტს გასტანა. ფინალური შეხვედრები სპორტის 10 სახეობაში გაიმართა. შეჯიბრებებში 6400-ზე მეტმა ფიზკულტურელმა იასპარეზა. მონაწილენი სიძლიერის მიხედვით ჯგუფებად იყვნენ დაყოფილ, საწარმო-დაწესებულებების ჯგუფმა თავის მხრივ 2 ქვეჯგუფი შექმნა. I ქვეჯგუფში ყველას აჯობეს ხალიჩების კომბინატის სპორტსმენებმა, რომლებსაც საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი დროშა გადაეცათ. II ადგილზეა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი, III — თეკლათის ხაოიანი ქსოვილების ფაბრიკის კოლექტივი.

II ქვეჯგუფში ყველას აჯობა რაიკოოპკავშირის ნაკრებმა. ქალაქის საბჭოს კომუნალური მეურნეობისა და მე-3 საავადმყოფო-პოლიკლინიკის ფიზკულტურელები მომდევნო ადგილებზე გავიდნენ.

კოლმეურნე ფიზკულტურელთა შეჯიბრებაში მთავარი პრიზი თეკლათის ქავქავაძის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებს ხვდათ, ხოლო საბჭოთა მეურნეობების ჯგუფში — ძველი ჯენაკის საბჭოთა მეურნეობის წარმომადგენლებს.

ე. გუგუნავა.
(ჩვენი კორ.).

ცხაკაია.

ე. კაკაბაძე — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

ცნობილმა ქართველმა მოჭადრაკე ქალმა, ი. გოგუბაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერ-მუშაკმა ელისო ვლადიმერის ასულმა კაკაბაძემ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „კლასგარეშე კითხვის შინაარსი და ორგანიზაციის ძირითადი ფორმები ქართულ ლიტერატურაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ე. კაკაბაძისთვის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ე. კაკაბაძემ საფუძვლიანად დაამუშავა ბავშვებისთვის კლასგარეშე კითხვის საკითხები, რომელთაგან მიუძღვნა 15 სამეცნიერო შრომა და ორი წიგნი: „რა წავაკითხოთ ბავშვებს“ და „კლასგარეშე კითხვა რვაწლიან სკოლაში“.

ხურათზე: ე. კაკაბაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კვიცი გვარზე ხტის

1967 წელი დადგა და ახალმა ამბავმაც იქუხა გორის რაიონში.

— ერთ ვარიანელს ზუგდიდიდან კვიცი ჩამოუყვანია, ავთვალს არ დაენახვებაო, — ამბობდა დიდ-ბატარა.

რაიონის სპორტკავშირის მესვეურები საგონებელს მიეცნენ. ფიქრსა და კამათში იშვა „დიდებული იდეა“:

— კვიცია ხომ? კვიცი გვარზე ხტის, გაიზრდება და დაცხენდება, ამ შემოდგომით მხედარსაც შეისვამს ზურგზე. მთელი რესპუბლიკა ალაპარაკდება, ქართლში მამაპაპური სახეობა აღორძინდაო.

თქვეს და მყისვე დასასტამბად გამზადებული სპორტღონისძიებათა კალენდარი გადმოიდეს. დიდი აზრი ღირსეულ ადგილზე ჩასვეს. შეჯიბრება შემოდგომისთვის დანიშნეს.

— ყველა, ყველა, მაგრამ იპოდრომი სადღაა? — მორიდებით იკითხა ვოლაცამ. მას ერთიორი კაციც ამყვა.

— კაცო, ეგ რა სათქმელია, კალენდარში ჩაწერეთ რაიონის იპოდრომი-თქო. შემოდგომამდე ხანია, იპოდრომსაც ვარიანში მოვაწყობთ. რაიონი ერთ კვიცს აქეთ-იქით ხომ არ ვაყიალებთო, — პირში წყალი ჩაუყენეს სკეპტიკოსებს.

ეჭვი ბოროტ

კალენდარი მალე დაისტამბა. „ხაშვილიშვილო“ ხაქმის მოთავეთ სიამაყის ღიმილი ასკდებოდათ სახეზე.

მაგრამ... ხომ გაგიგონიათ, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო? ვერც ამ კვიცმა დაამკვიდრა ცხენოსნობა გორის რაიონში. იპოდრომი? იპოდრომი კალენდარს შემორჩა და თუ ამ კალენდრის ყველა ეგზემპლარი დროით არ განადგურდა, მომავალ საუკუნეში ეროვნული სახეობების მკვლევართა თვალიერი საქმე გაუჩნდებათ.

თ. ბანეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორის რაიონი.

„500-ანების კლუბი“

ამ ოციოდე წლის წინათ ძალოსნებისთვის სამჭიდში საზღვაპრო ციფრად ჩაბდა 500 კგ, ახლა კი დღის წესრიგში 600 კგ დადგა. ძნელია იწინასწარმეტყველო, თუ როდის გადაილახება ეს ზღვარი, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ამის ყველაზე დიდი შანსი საბჭოთა გოლიათს ლ. ყაბოტინსკის აქვს.

ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის უინტერესო არ იქნება „500-ანების კლუბის“ წევრთა გაცნობა:

1. ლ. ყაბოტინსკი (სსრკ) 590 კგ (200+172,5+217,5). 1967 წ.
2. ი. ვლახოვი (სსრკ) 580 (195+170+215). 1964.
3. ხ. ბატიშჩევი (სსრკ) 550 (185+155+210). 1967.
4. დ. დიუბი (აშშ) 550 (195+155+200). 1967.
5. ვ. ანდრეევი (სსრკ) 547,5 (190+152,5+205). 1967.
6. ბ. გუბნერი (აშშ) 545 (190+155+200). 1965.
7. ნ. შემანსკი (აშშ) 544,5 (181,6+161,2+201,7). 1964.
8. გ. დიაჩენკო (სსრკ) 540 (180+157,5+202,5). 1967.
9. რ. ბუდნარსკი (აშშ) 537,5 (182,5+160+195). 1966.
10. ბ. ანდერსონი (აშშ) 533,1 (181,6+152+199,5). 1956.
11. ხ. რედინგი (ბელგია) 525 (182,5+147,5+195). 1966.
12. მ. რიგერი (გდრ) 525 (175+155+195). 1967.
13. კ. ეჩერი (უნგრეთი) 522,5 (177,5+155+190). 1965.
14. დ. პიკეტი (აშშ) 520 (187,5+140+192,5). 1967.
15. ხ. ჰენრი (აშშ) 517,5 (175+147,5+195). 1963.
16. ჯ. ბრედფორდი (აშშ) 512,5 (180+150+182,5). 1960.
17. გ. რიაბოკონი (სსრკ) 510 (170+150+190). 1966.
18. ა. მედვედევი (სსრკ) 507,5 (170+147,5+190). 1950.
19. ი. ვეხელინოვი (ბულგარეთი) 505 (170+140+195). 1965.
20. ი. ვილკოვიჩი (სსრკ) 505 (177,5+142,5+185). 1965.
21. ვ. სტაროსტენკო (სსრკ) 505 (165+150+190). 1967.
22. ე. ვარონა (კუბა) 502,5 (182,5+135+185). 1966.
23. ი. ჩერვიაკოვი (სსრკ) 502,5 (170+142,5+190). 1966.
24. მ. ბორუმანდი (ირანი) 502,5 (167,5+147,5+187,5). 1966.
25. ი. ტალტსი (სსრკ) 502,5 (160+150+192,5). 1967.
26. ხ. ხელვეტი (არგენტინა) 500 (175+145+180). 1956.
27. დ. აშმანი (აშშ) 500 (150+150+200). 1960.
28. ვ. პოლიაკოვი (სსრკ) 500 (165+155+180). 1964.
29. რ. შეიერმანი (სსრკ) 500 (170+145+185). 1964.
30. ვ. პონომარენკო (სსრკ) 500 (170+140+190). 1965.
31. დ. ოლივერი (ახალი ზელანდია) 500 (163,5+140,7+195,8). 1965.
32. ბ. მარჩი (აშშ) 500 (170,2+145,3+184,5). 1965.
33. ო. კოოლი (სსრკ) 500 (162,5+150+187,5). 1966.
34. მ. ლინდროოსი (ფინეთი) 500 (165+145+190). 1967.
35. ი. ფიულტიერი (საფრანგეთი) 500 (165+150+185). 1967.
36. ი. იაბლონოვსკი (სსრკ) 500 (165+145+190). 1967.

თვალის ერთი გადავლებითაც აშკარაა საბჭოთა ძალოსნების უპირატესობა დანარჩენი ქვეყნების წარმომადგენლებთან. სახელმწიფოთა მიხედვით ძალოსნები ასე ნაწილდებიან: სსრ კავშირი — 16, აშშ — 10, არგენტინა, ახალი ზელანდია, ბელგია, ბულგარეთი, გდრ, ირანი, კუბა, საფრანგეთი, უნგრეთი, ფინეთი — 1-1.

რაკეტა ცურიქიდან

გათუმი

შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა ფაკულტეტების ტანმოვარჯიშეთა პირად-გუნდური პირველობა. ჩემპიონები გახდნენ რუსული და უცხო ენების ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ნ. კომაროვა და გეოგრაფიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი გ. სიხარულიძე. გუნდურ ჩათვლაში იმარჯვეს: ქალებში — რუსული და უცხო ენების ფაკულტეტის გუნდმა, ვაჟებში — გეოგრაფიის ფაკულტეტის ნაკრებმა.

ო. მურვანიძე.

ცხინვალი

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის 20 აღსაზრდელი ასპარეზობდა მაგიდის ჩოგბურთში. უძლიერესი გამოდგა ი. დერეპასოვი.

ო. მარგიევი.

თელავი

სოფელ ფშაველში გაიმართა ფრენბურთელთა შეხვედრა ზემო და ქვემოფუნის გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ზემოუბნელებმა — 2 : 1.

შ. ჯაფვაძე.

ზუგდიდი

მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეებს სპორტული მეცადინეობის კარგი პირობები აქვთ. აქ არის ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები. უახლოეს ხანში სარბენ ბილიკებსაც მოაწყობენ.

ბ. ალშიგაია.

ტანვარჯიში: სირთულე, სილამაზე, შემოქმედება

ამას წინათ შევხვდი საბჭოთა ტანვარჯიშის ლიდერებს, მსოფლიო ჩემპიონს მ. ვორონინს და მეხიკოში გამართულ წინასაოლიმპიადო კვირეულში გამარჯვებულ ს. დიომიდოვს და ვთხოვე ეამბნათ, თუ რა მდგომარეობაა აშუამად საბჭოთა ტანვარჯიშში, ეთქვათ მოწინააღმდეგეებზე და ჩვენს ოლიმპიურ საიმედო ცვლაზე.

ხსრ კავშირის ვაუთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ე. კოროლკოვი კომენტარს უკეთებს მ. ვორონინისა და ს. დიომიდოვის ნათქვამს.

— მთელი ეს ლაპარაკი ტექნიკასა და არტისტიზმზე — მხოლოდ სიტყვებია. — თქვა ვორონინმა. — ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იქნება ნამდვილი ტანვარჯიში, ეს კი ტექნიკაც არის და არტისტიზმიც. შეხაძლოა ყველაფერი ეს გავაერთიანოთ ერთ ცნებაში: სილამაზე.

— ტანვარჯიშის საფუძველს, — ამბობს კოროლკოვი, — წარმოადგენს კლასი, დახვეწილობა. სწორედ ამით უნდა დავიწყოთ. წინაალმდეგ შემოხვევაში ვერავითარი სირთულე ვერ გვიშველის. დიახ, მეხიკოში საბჭოთა სპორტსმენები რამდენიმე უნიკალურ ელემენტს ანვენებენ, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ სირთულის სამსხვერპლოდ გავწიროთ ამ ელემენტების სიფშინდე და სინატიფე.

— კომბინაციები უფრო რთული იქნება, მაგრამ არც ისე ბევრად, — თქვა დიომიდოვმა. — დაახლოებით 8-9 „C" ჯგუფი. ლაპარაკია კლასზე. ყველაზე მთავარია მიაღწიო შესრულების სიმხუბუქეს და თუ სიხალისეც იქნა, ამას რა სჯობს!

— შექსიკაში ჩვენ ვნახეთ, რომ შარშანდელთან შედარებით იაპონელები ოდნავ შესუსტდნენ. თუმცა, შესაძლოა, დაღლილობამაც იჩინა თავი ევროპის ტურნეს შემდეგ, — თქვა ვორონინმა.

საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ძირითად მეტოქეებად უწინდებურად რჩებიან იაპონელები. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ამჯერად მათ არაფერი ზებუნებრივი არ უჩვენებიათ. მათი ლიდერი — ოკინორი ნაკბიამა უდავოდ ბრწყინვალე ტანმოვარჯიშეა. მაგრამ არც ვორონინი და არც დიომიდოვი მასზე სუსტები არ არიან. სამივენი ნათელ ინდივიდუალობას წარმოადგენენ და მათი ოსტატობის შეფასებაში დიდ როლს ითამაშებს მსჯავთა სუბიექტური შთაბეჭდილება.

— რომ გაიმარჯვო, კარგი ნერვები უნდა გქონდეს, — თქვა ვორონინმა. — ახლა მშვიდად მძინავს, თუმცა ხდება ხოლმე, — ტანმოვარჯიშე იღიმება, — დაგესიზმრება, რომ თავდაყირა დაეცი, მაგრამ გაიღვიძებ, შუბლს მოიფხან და არაფერი...

— მე კი, — გაიცინა დიომიდოვმა, — ძილში სულ ადვილად ვაკეთებ ზღიბჯენს. ახლა ჩვენ უფრო გვწამს საკუთარი ძალისა. უყურებ ყველა ამ ვარსკვლავს და იცი, თუ ვის რისი უნარი აქვს. ამავე დროს შენი ფასიც იცი...

— დიახ, ტანვარჯიში — ეს ნერვია. მეხიკოში გაიმარჯვებს ის, ვინც უკეთ მოთოკავს თავის ტემპერამენტს, როგორც მხედარი ცხენს, და არა პირიქით.

— ტანვარჯიში (მე მხედველობაში მაქვს დიდი ტანვარჯიში), — თქვა დიომიდოვმა, — ეყრდნობა ცალკეულ პიროვნებებს, ინდივიდუალობებს.

— ტანვარჯიში სპორტის მკაფიო ინდივიდუალური სახეობაა. მხოლოდ შრომა, რაც უნდა დიდი იყოს იგი, ვერასოდეს ვერ აქცევს ტანმოვარჯიშეს საერთაშორისო კლასის სპორტსმენად. აქ საჭიროა თანდაყოლილი ნიჭიც. და წარმატებაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად უფრო საინტერესოა ტანმოვარჯიშის ინდივიდუალობა, რაშდენად ნათლად შეძლებს იგი თავისი მონაცემების გამოსახვას.

ტანვარჯიში ძალიან მგრძნობიერია იმ ცვლილებათა მიმართ, რომლებიც ხდება ადამიანის შეგნებაში სილამაზის, თანამედროვეობის გაგებათა მხრივ. ამიტომაა რომ, რამდენადაც სრულყოფილი უნდა გეჩვენოთ გუშინდელი პროგრამა, დღეს საჭიროა მისი შეცვლა. ტანვარჯიში ვერ ეგუება სტატიკას. შეჩერდე, ეს ნიშნავს უკან დაიხიო. მაგრამ სიახლე უნდა დაინერგოს თანდათან, ვინაიდან არსებობს განვითარების ერთიანი ხაზი და მისი დანაწილება არ შეიძლება.

ვორონინი და დიომიდოვი დაახლოებით თანაბარი ძალის ტანმოვარჯიშეები არიან, მაგრამ თვითეული მათგანი განუმეორებელია. ის, რაც ერთისთვის აუცილებლობას წარმოადგენს, მეორეს სრულიადაც არ სჭირდება! არც ერთ ვარჯიშს ისინი აბსოლუტურად ერთნაირად არ აკეთებენ.

— თვითეული ტანმოვარჯიშე შეჯიბრებისთვის ინდივიდუალურად უნდა ემზადოს, — თქვა დიომიდოვმა.

— წვრთნა მხოლოდ მაშინაა სარგებლო, როცა სიამოვნებას განიჭებს, — კვერი დაუკრა მეგობარს ვორონინმა.

— ჩემი ჯგუფი დღეში ერთხელ ვარჯიშობს. მიაღიტობად მიმაჩნია მტკიცება, რომ რაც უფრო მეტს ვარჯიშობ, მით უფრო მაღალია შედეგები. დღეში ორჯერ ვარჯიში სპორტსმენს ღონის ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. სპორტი მისთვის უკვე ცხოვრებადა ალარაა და მძიმე მოვალეობად იქცევა.

თუ ტანმოვარჯიშე წვრთნისას ღიმილით ასრულებს რთულ ელემენტებს, ეს ნიშნავს, რომ იგი შეჯიბრებაშიც ღირსეულად გამოვა. მაგრამ თუ მას კუნთები უცახცახებს და თვალებზეც ბინდი ეფარება, ცხადია, საჭიროა წვრთნის შეწყვეტა და დასვენება.

თუ სპორტსმენი თვითონ გრძნობს, რომ მისთვის საჭიროა საწვრთნელად მეორეჯერ მოსვლა, მოვიდეს. თანამედროვე ფსიქოლოგები განასხვავებენ უმაღლესი ნერვული მოქმედების ათობით ტიპს და ჩვენც, მწვრთნელებმა, უნდა გავითვალისწინოთ ეს, შევეცადოთ ვიპოვოთ მიდგომა თვითეულ სპორტსმენთან, გულდასმით მოვახდინოთ დატვირთვის დიფერენცირება.

განსაკუთრებით ფრთხილად უნდა მივუდგეთ ადრეული სპეციალიზაციის საკითხს. სულ ორიოდე წლის დაძაბულ შაბლონურ წვრთნას შეუძლია საერთოდ ამოშალოს დიდი სპორტიდან თვით უნიჭიერესი ჭაბუკიც კი.

— რა მოხდება ოლიმპიადაზე? — თქვა ვორონინმა. — პირად ჩათვლაში სირთულე მეტია, ხოლო გუნდურში — ნაკლები. მე ტრავმის გამო ვერ შევძელი მეხიკოს კვირეულში გამოსვლა და ამიტომ მიძნელდება ვთქვა, რა შედეგს მიეაღწევდი იქ. მაგრამ, ვფიქრობ, გუნდს უფრო გაუადვილდებოდა. დიომიდოვი კი შესანიშნავად გამოვიდა.

— დარწმუნებული ვარ, ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოლებს 3 სპორტსმენი: ნაკაიამა, ვორონინი და დიომიდოვი. მხოლოდ ცალკეულ იარაღებზე გაუწევენ მათ მეტოქეობას ფრანკო მენეკული, იუკიო ენდო, ვიქტორ ლისიცკი, მირონსლავ ცვრარი და სხვანი...

გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ძირითადი მოწინააღმდეგეები არიან იაპონელები, ამერიკელები და გდრ-ის ძალზე მზარდი ტანმოვარჯიშეები.

— მე იქით მივისწრაფი, — თქვა ვორონინმა, — რომ კომპოზიციას თავიდან ბოლომდე მთლიანი სახე ჰქონდეს, რომ არც ერთი ელემენტი, რაც უნდა ეფექტური იყოს იგი, არ ჩამორჩებოდეს საერთო ნახაზს.

— მე კი, — თქვა დიომიდოვმა, — მომწონს მკვეთრი კონტრასტულობის ცვლა და აბსოლუტურად დარწმუნებული უნდა ვიყო ყველა ელემენტში. თუ ერთი ელემენტი გაეჭედს, ამას კიდევ არა უშავს, მაგრამ თუ ასეთი ორი-სამია, აუცილებლად ჩამოვარდები.

— თუ ვორონინი და დიომიდოვი მეხიკოში აჯეგუნებენ თავიანთ შედეგებს (დაახლოებით, 116 ქულის ფარგლებში) — ისინი გაიმარჯვებენ.

საბჭოთა გუნდის პირველ ნომერს უდავოდ წარმოადგენს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ვორონინი. მისი რაციონალური სტილი, ელეგანტურობა და გააზრებული მოაგონება თანამედროვე ტანვარჯიშის ყველაზე მაღალ მოთხოვნებს შეეფარდებიან. ძალიან მოხარული ვარ იმისა, რომ დიომიდოვმა დორტმუნდის მსოფლიო ჩემპიონატში განცდილი მარცხის შემდეგ (იქ გაიყო X-XI ადგილები) შეძლო ერთ წელიწადში აღედგინა თავისი რეპუტაცია. მან დროზე მოიცილა იარლიყი „უნებისყოფო", რომელიც ნაჩქარევად მიაწება ზოგიერთმა სპეციალისტმა.

ამრიგად, აი, თითქმის უდავო კანდიდატები ჩვენს ოლიმპიურ ნაკრებში: მეხეილ ვორონინი (22 წლისა), სერგეი დიომიდოვი (24), ვიქტორ ლისიცკი (28), ვალერი კარასიოვი (21) და ვიქტორ კლიმენკო (18). მეექვსე ადგილზე რამდენიმე პრეტენდენტია — ვლადიმერ სოშინი (20), ანატოლი კოზეევი (22), ვალერი კერდემელიდი (29) და ვალერი ილინიხი (21).

— ახალგაზრდებიდან მე კლიმენკო მომწონს, — თქვა ვორონინმა. — ტანმოვარჯიშე დადგება!

— მე კი კარასიოვი უფრო მომწონს, — შენიშნა დიომიდოვმა. — დღენიადაგ ძიებაშია.

— დიახ, რეზერვში ჩვენ მრავალი ახალგაზრდა, ნიჭიერი ტანმოვარჯიშე გვყავს და, ცხადია, მათი გამოჩენა შემოხვევითობა არ გახლავთ. შეცდომად მიმაჩნია, რომ ხშირად მოგვიხდენია



მ. ვორონინი

გუნდში მკვეთრი ცვლილებები. არავის აზრად არ მოუვა [illegible] ეოს, ვთქვათ, ფეხბურთის ეროვნული საკუთხისმგებლო შეჯიბრებ[illegible] ჯიში. ჩვენ რომ ძირითადად შემადგენლობაში თანდათან შეგვყავდეს ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენები — იმ მიზნით, რომ დიდ ოსტატებთან ერთად წვრთნისას დაშაჯერებლობა და გამოცდილება შეიძინონ, შესაძლოა, ბოლო წლებში არ გვეწვნია საგრძნობი მარცხი იაპონიის ტანმოვარჯიშეთაგან.

ამას წინათ ჩამოყალიბდა ჩვენი ქვეყნის მოზარდთა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები. შარშან დეკემბერში კუიბიშევს გაიმართა იუნიორთა ჩემპიონატი (პირველად 1946 წლის შემდეგ, როცა ასეთივე ჩემპიონატი ჩატარდა ლენინგრადში). ვფიქრობ, ეს სასარგებლო დონისძიებებია უფროსი თაობის ტანმოვარჯიშეთათვის სრულფასოვანი ცვლის აღსაზრდელად.

დასასრულ მინდა ვთქვა, რომ ჩვენს სპორტსმენებს ყველაფერი აქვთ, რაც საჭიროა საბჭოთა ტანვარჯიშის მიერ ბოლო წლებში დამობილი პოზიციების დასაბრუნებლად. რასაკვირველია, ჩვენ შემოქმედებითად უნდა გადავამუშაოთ ყველაფერი კარგი, რასაც ახლა მსოფლიო ტანვარჯიშმა მიაღწია (პირველ ყოვლისა, მხედველობაში მყავს იაპონელები), მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი სკოლა, ჩუკარინის, მურატოვის, შახლინის, ტიტოვის ტრადიციები. ბოლო ხანებში ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ მივდევდით რა „იაპონურ მოდას", ვაიძულებდით ჩვენს ტანმოვარჯიშეებს გაეკეთებინათ ის, რაც მათთვის არ იყო დამახასიათებელი. ესე იგი, ტანვარჯიშს ხშირად ვუდგებოდით ფორმალურად და არა შემოქმედებითად. მაგრამ ტანვარჯიშში ხომ ყოველი, თუნდაც ყველაზე უფრო მოდური შაბლონი დაუშვებელია. შემოქმედება — აი, რას მიჰყავს წინ ჩვენი საყვარელი ხახეობა, ზრდის მის უსაზღვრო შესაძლებლობებს, სტიმულს აძლევს სპორტსმენებს დაუღალავი, გულმოდგინე ვარჯიშისთვის.

ა. ბატაშოვი,
აახ-ის კორესპონდენტი.



ს. დიომიდოვი

ჯუჯენ...

თბილისში გაიმართა ხუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ი. კუპერმან — ა. ანდრეიკოს მატჩის XVII პარტია, რომელიც უაიმით დამთავრდა. ამრიგად, ანგარიში გახდა 9:8 კუპერმანის სასარგებლოდ. დღეს შედგება XVIII პარტია. თეორებით თამაშობს ანდრეიკო.

ეგვიპტეზე ძველი

შაშის ისტორიიდან

შაშს უხსოვარი დროიდან თამაშობენ. ეგვიპტის უძველესი სამარხების ქვებზე აღმოჩენილია ხურათები, რომლებზეც 64-უჯრიან დაფაზე მოთამაშეები ყოფილან აღბეჭდილი. ერთ-ერთი ინგლისელი მეცნიერის აზრით, ეს თამაში ეგვიპტეზე უხნესია: ეგვიპტური ღმერთები შაშის თამაშით ერთობოდნენ.

ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია შაშის მოთამაშე ლომისა და ცხვრის ძველეგვიპტური გამოსახულება, ხოლო ლუვრის მუზეუმში — ფარაონების ნაქონი სადაფის შაშის ორი დაფა. საერთოდ, აღმოსავლეთის მბრძანებელთა საფლავის ქვებზე ხშირად შეხვდებით შაშის მოტივებს.

ყოველივე ამის მიუხედავად, შაშის სამშობლოს დასახელება შეუძლებელია. მკვლევარებმა ხელი აიღეს ამის ძიებაზე, ვინაიდან შაშს თითქმის ყველა ქვეყანაში თავისებური წესებით თამაშობდნენ.

შაშმა ფართოდ მოიკიდა ფეხი ძველ საბერძნეთსა და რომში. „ოდისეაში" არაერთგზის ნახსენებია ეს თამაში, მის მიმართ ძველმა რომაელმა მწერლებმაც გაიღის ხარკი.

შაშის შემქმნელზე რამდენიმე ლეგენდა არსებობს. ბერძნები ამ თამაშის გამომგონებლად გულად მებრძოლ პალამედს ასახელებენ. გადახედეთ შუა საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურას და დარწმუნდებით შაშის დიდ პოპულარობაში. საკმარისია დავასახელოთ ბოკაჩო, სერვანტესი. ბუნებრივია, რომ შაშის პირველი სახელმძღვანელო ხწორედ ამ ეპოქაში (1547 წ.) დაიწერა. მისი ავტორია ესპანელი ანტონიო ტორკემადო.

შაშმა, ისე როგორც ჭადრაკმა, ეამთა სიავეს გაუძლო და მიმზიდველობა შეინარჩუნა. მაგრამ თუ ჭადრაკი ოდნავ შეიცვალა, ეპოქა და პროგრესი დაეტყო, შაში უცვლელი დარჩა.

შეიმჩნევა, რომ ევროპაში უმეტესად 64-უჯრიანი შაში იყო გავრცელებული. სწორედ ამან გამოიწვია საფრანგეთში მათემატიკის პროფესორის პ. მალეს წიგნის შექმნა (1658 წ.). მალე შეეცადა ყველა ხალხის წესების უნიფიცირებას: ეს, სხვათა შორის, თვით წიგნის დასახელებაშიც კარგად ჩანს: „შაში თამაში ყველა, როგორც საერთო, ისე კერძო წესით და პრინციპით, რომელთა დაცვა აუცილებელია, და კარგი თამაშის ხერხები".

ევროპაში ცნობილი იყო 100-უჯრიანი შაშიც (თამაშში 20-20 შაში მონაწილეობს). ამას ბაბილონის შაში ერქვა. შაშები პირველ ორ ჰორიზონტალზე იყო განლაგებული და თამაშის წესებიც სხვა გახლდათ. შაში წინ მიიწევდა დიაგონალებით, აყვანა კი წინ და უკან შეეძლო. შემდგომ 100-უჯრიანი შაში გარდაიქმნა და დღეს მას საერთაშორისო შაში ჰქვია.

საინტერესოა, რომ ევროპელების შაშში იხმარება სიტყვა „დამა" (ქალი). ამას ისტორიკოსები ასე ხსნიან: შუა საუკუნეებში, რაინდობის ეპოქაში ქალის კულტი გახლდათ. აქედან დამას, რომელსაც ყველაზე დიდი ძალა ჰქონდა, ქალს უაფშინებდნენ.

გამოჩენილმა ფრანგმა მოჭადრაკემ ა. ფილიდორმა თითქმის ნახევარი საუკუნის გამოცდილება ჩააწნა შაშზე თავის წიგნს, რომელიც ჯერ ჰოლანდიურ, ხოლო შემდგომ სხვა ევროპულ ენებზე გამოვიდა.

რუსეთში შაშს დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ პირველი წიგნი ამ თამაშზე 1827 წელს გამოიცა პეტერბურგში. იგი დაწერა გამოჩენილმა რუსმა მოჭადრაკემ ა. პეტროვმა. წიგნის სათაურია: „შაშის თამაშის საფუძვლიანი შეცნობის სახელმძღვანელო ან უბრალო შაშში ყველას დამარცხების ხელოვნება".

XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში ამ თამაშმა კიდევ უფრო დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. რუსი მოშაშეების შრომები ჯერ სხვადასხვა ჟურნალში ქვეყნდებოდა, 1897 წელს კი მასწავლებელმა ი. მოდიანსკიმ ჟურნალი „შაშკი" დააარსა.

ევროპაში გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან გავრცელდა 100-უჯრიანი შაში. შემოიღეს მსოფლიო ჩემპიონის სახელიც, მაგრამ ფართო სარბიელზე შაში გამოვიდა მხოლოდ XX საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს, როცა 1947 წელს შაშის მსოფლიო ფედერაცია შეიქმნა.

თ. გიორგაძე.

fotbal • calcio • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUGAS • NOGOMEŁ

„ფკ პრაღა“ სიდნეიში თამაშობს

ავსტრალიაში პოპულარობით სარგებლობს ფეხბურთელთა კლუბი „ფკ პრაღა“, რომელიც ჩეხოსლოვაკიელებისგან შედგება. გუნდში დიდი წარმატებით თამაშობს ცნობილი მეკარე ვ. შროიფი, რომელიც უკვე 2 წელია ავსტრალიაში ცხოვრობს. ამავე კლუბში გამოდის ჩეხოსლოვაკიის ნაკრების ყოფილი მცველი ვეხგლიში.

ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის ფედერაციამ ავსტრალიაში გამგზავრების ნებართვა მისცა კიდევ ერთ ცნობილ ვეტერანს — მოლნარს, 1955-64 წლების ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელს, რომელსაც 20-ჯერ აქვს ნათამაშევი თავისი ქვეყნის პირველ ნაკრებში.

კალოჩაის ოპტიმიზმი

გაბეს „გურნიკის“ მწვრთნელი — დოქტორი კალოჩაი და კლუბის ვიცე-პრეზიდენტი შარაპინსკი ამას წინათ იმყოფებოდნენ ინგლისში, სადაც დაესწრნენ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მატჩს „შეფილდ უენსდეისთან“. კალოჩაის აინტერესებდა ინგლისის ჩემპიონის ახლანდელი ფორმა: „მანჩესტერ იუნაიტედი“ ხომ „გურნიკის“ მეტოქეა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე.

ბუდაპეშტის „ნეპშპორტის“ მიმოხილველთან საუბარში კალოჩაიმ ილაპარაკა ჩემპიონთა თასის მომავალ მატჩებზე. მწვრთნელი ოპტიმისტურადაა განწყობილი: „თუ ჩვენ შევძელით გათამაშებიდან გამოგვეყვანა კიევის „დინამოს“ ძლიერი კოლექტივი, რატომ არ შეგვიძლია ინგლისის ჩემპიონსაც მოვუგოთ?“

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომ „გურნიკის“ ფეხბურთელებმა დაიბრუნონ ნორმალური ფორმა. მწვრთნელის აზრით, ეს საკმაოდ ძნელია, ვინაიდან პოლონეთში ახლა შესვენებაა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ პირველი მატჩი კი 28 თებერვალს უნდა შედგეს. კალოჩაი ფიქრობს, რომ „გურნიკთან“ შედარებით ინგლისის ჩემპიონი ახლა ბევრად უკეთეს პირობებშია.

დი სტეფანო გადაგდგა

ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა ა. დი სტეფანომ ბარსელონის „ესპანიოლში“ თამაშის თავის დანებების შემდეგ მწვრთნელად დაიწყო მუშაობა ესპანეთის I ლიგის კლუბ „ელჩეში“. მაგრამ მისი, როგორც მწვრთნელის კარიერა მეტად მარცხიანი აღმოჩნდა: „ელჩე“ გათამაშების ცხრილში მტკიცედ დამკვიდრდა ბოლო ადგილზე. დი სტეფანოს გადადგომა მოუხდა.

— დი სტეფანო მეტად სუსტი მწვრთნელი გამოდგა, — განაცხადა „ელჩეს“ პრეზიდენტმა მ. მარტინესმა. — სწორედ მის გამო ჩავარდა ჩვენი კლუბი კატასტროფულ მდგომარეობაში.

„ელჩეს“ მწვრთნელობიდან გადადგომას თვით დი სტეფანომ უწოდა ყველაზე მწარე მარცხი თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე.

მოკლედ

● **ბონი.** გფრ-ის სპორტულმა ჟურნალისტებმა ამ ქვეყნის ყველაზე პოპულარულ გუნდად მიიჩნიეს მიუნჰენის „ბაიერნი“.

● **ვანკუვერი.** ფ.-პუშკაში გახდა კანადის კლუბ „ვანკუვერის“ მწვრთნელი. ეს გუნდი აშშ-ს ჩემპიონატში ითამაშებს იმის გამო, რომ კანადაში საფეხბურთო ჩემპიონატი არ თამაშდება. პუშკაშის კლუბში არაა არც ერთი კანადელი. სამაგიეროდ, აქ თამაშობს 4 ესპანელი, 3 ინგლისელი, 3 უნგრელი, 2 იუგოსლავიელი, 2 მოთამაშე ამერიკის შეერთებული შტატებიდან და თითრიც — პოლანდიიდან, საფრანგეთიდან, პორტუგალიიდან და კვიპროსიდან.

ᲥᲮᲘᲚᲘ ᲥᲐᲯᲔᲥᲘ

● **კანბას-სიტი (აშშ),** 22 იანვარი. **მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ტეხასის უნივერსიტეტის სტუდენტმა ბ. ბიმონმა სიგრძეზე ხტომაში ახალი მსოფლიო მიღწევა დაამყარა და ხუთი სანტიმეტრით გაუმჯობესა ძველი მიღწევა, რომელიც 1966 წლიდან ეკუთვნოდა საბჭოთა მძლეოსანს ი. ტერ-ოვანესიანს.**

● **პიეტსიამიაკი, 23 იანვარი.** აქ გაიმართა შვეიცის, ნორვეგიისა და ფინეთის მოციგურავე ქალთა მატჩი. მასპინძელმა კ. მუსტონენმა 1000 მეტრზე რბენაში ფინეთის ახალი რეკორდი დაამყარა (1.37,8), მაგრამ II ადგილს დასჯერდა. საუკეთესო დრო ჰქონდა ნორვეგიელ ს. სუნდბიუს — 1.37,6. მანვე გაიმარჯვა 500-მეტრიან დისტანციაზე — 47,4. სამაგიეროდ, მუსტონენს ბადალი არ ჰყავდა 3.000 მეტრზე — 5.20,7.

● **ზაკოპანე, 23 იანვარი.** ოქროს 8 მედლიდან 7 (ყველა, გარდა ქალთა სრინტისა) პოლონეთის მოციგურავეთა აქ გამართულ ღია ჩემპიონატში ჰოლანდიელმა სტუმრებმა მოიპოვეს. საუკეთესო შედეგები შეჯიბრების ბოლო დღეს იქნა ნაჩვენები: არიე ჰეკმანმა 10.000 მეტრი 16 წუთსა და 25,9 წამში გაირბინა, ხოლო რიენეკე დემინგმა 3.000 მ — 5 წუთსა და 15,8 წამში.

● **ოსლო,** 23 იანვარი. ნორვეგიის მოციგურავეთა კავშირმა განსაზღვრა ვაუთა და ქალთა ნაკრები გუნდები, რომლებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში. 27-28 იანვარს „ბიშლეტის“ სტადიონზე მასპინძელთა ღირსებას დაიცავენ პ.-ვ. გუტორმსენი, ფ.-ა. მაიერი, ს.-ე. სტიანსენი, მ. ტომასენი და ბ. ტვეტერი (სათადარიგო). ქალთა ჩემპიონატში საასპარეზოდ ფინეთს გაემგზავრებიან კ. კორინგი, ს. სუნდბიუ და ლ. ბერგი (სათადარიგო).

სამ წელიწადში — ოქროს მედალი

ინსბრუკი, 22 იანვარი. კიროვის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებს ახლა ზამთრის უნივერსიადის ჩემპიონი ჰყავთ. ამ სასწავლებლის III კურსის სტუდენტმა, 21 წლის ა. ჩეკულაევმა, რომელმაც საციგურაო სპორტში სერიოზული ვარჯიში მხოლოდ სამი წლის წინათ დაიწყო, დღეს ადგილობრივ ოლიმპიურ ყინულის ბილიკზე ყველას აჯობა 3.000 მეტრზე რბენაში — 4.37,2. II ადგილზე გასული ბ. ჰალინენი (ფინეთი) გამარჯვებულს 4,6 წამით ჩამორჩა. ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ტიუმენელმა სტუდენტმა ა. ნოხრინმა (4.42,7). IV ადგილზეა ალმაათელი გ. პოდკოვიროვი (4.44,6), VII — ლენინგრადელი ა. კიშჩენკო (4.48,0).

ორშაბათს მოციგურავეები სტუდენტური შეჯიბრებების ფოკუსში აღმოჩნდნენ. 500 მეტრზე რბენაში თავიდანვე ნათელი იყო, რომ პირველი პრიზები სახელგანთქმულ სპრინტერებს ერჰარდ კელერსა (გფრ) და კეიტი სუძუკის (იაპონია) ხვდებოდათ წილად. მართლაც ასე მოხდა: ოქროს მედალი მოიხვეჭა 23 წლის კელერმა — 40,2 წამი. სუძუკი II ადგილზეა — 40,6. კიშჩენკომ V ადგილი დაიკავა (42,3), ნოხრინმა — IX (42,7). ვ. ბაკანოვი და პოდკოვიროვი ნოხრინს 0,2 წამით ჩამორჩნენ.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲔᲡ... ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲒᲔᲒᲛᲐ

მეხიკო, 22 იანვარი. მექსიკის პრეზიდენტის გუსტავო დიას ორდასისა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის ევერი ბრენდეჯის თანდასწრებით აქ, ნატიფი ხელოვნების სასახლეში, გაიხსნა კულტურის ფესტივალი, რომელიც მომავალ XIX ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება. 145 სხვადასხვა საფესტივალო ღონისძიებიდან ამ პირველის მოწმე მთელი ქვეყანა გახდა: რეპორტაჟს დარბაზიდან მექსიკის ყველა სატელევიზიო კომპანია აწარმოებდა. მაყურებლებმა ნახეს საბერძნეთის, მალისა და მექსიკის მოცეკვეთა გამოსვლები „ხუთი კონტინენტის ბალეტის“ პროგრამიდან.

კულტურისა და ხელოვნების ამ თავისებურ ოლიმპიადაში, რომელიც მთელ წელიწადს გასტანს, მონაწილეობას მიიღებენ ბევრი ქვეყნის, მათ შორის, სსრ კავშირის წარმომადგენლები.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲤᲐᲠᲔᲑᲗᲐᲜ

გაიმართა ვაუთა შორის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მორიგი ტურის მატჩები: „ფაირსტონი“ (ვენა) — „სპარტაკი“ (სოფია) 69:71, „აპოელი“ (ტელ-ავივი) — „როიალი“ (ბრიუსელი) 56:51, „დინამო“ (ბუქარესტი) — „ოლიმპია“ (ლიუბლიანა) 100:84, კახ (მადრიდი) — აეკ (ათენი) 82:72, „ფორვერტსი“ (ლაიპციგი) — „ვისლა“ (კრაკოვი) 70:63, „სლავია“ (პრაღა) — „ოსნაბრიუკი“ (მიუნჰენი) 88:77.

ევროპაში გასტროლებზეა ავსტრალიის ვაუთა ნაკრები, რომლის ღირსებას რამდენიმე ამერიკელი კალათბურთელი იცავს, მიუხედავად ამისა, ავსტრალიელთა პირველი მატჩი პრაღაში სტუმრების კრახით დამთავრდა: ჩეხოსლოვაკიელებმა გაიმარჯვეს — 104:77.

ბელგიის ეროვნული ჩემპიონატის მთავარი სნაიპერია იუგოსლავიელი კორაჩი, რომელიც ბრიუსელის „სტანდარდში“ თამაშობს. კორაჩი ჯერჯერობით 455 ქულის ავტორია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲒᲠᲔᲜᲝᲑᲚᲘ. კასრუსის სლალომის ტრასა მკვეთრად ხვეულია, თანაც რელიეფი მეტისმეტად ცვალებადია.

„ლელო“ — ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 8-95-80, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 8-95-41, მეცხოვრიე - ფიზკულტურული, მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 8-95-14, ფოტოლაბორატორია — 8-95-16, მემანქანეთა ბიურო — 8-95-11, გამომშვები — 8-93-81.